



# საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000055493295020

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46  
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 35

02 / სექტემბერი / 2020 წ.

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა


### 2020 წლის საქართველოს პარლამენტის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების გასაკრავად (გამოსაფენად) ადგილების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 46-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

### გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

- 2020 წლის საქართველოს პარლამენტის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით, ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების გამოსაკრავად განისაზღვროს შემდეგი ადგილები:
  - ახმეტის მუნიციპალიტეტში მდებარე კულტურის სახლების კაპიტალური მესერი;
  - სახელმწიფო და ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების კაპიტალური მესერი;
  - სახელმწიფო და ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული შენობა-ნაგებობების კაპიტალური მესერი (გარდა მათი ადმინისტრაციული შენობებისა), აგრეთვე მათ მიერ შექმნილი (დაფუძნებული) იურიდიული პირების საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული შენობა-ნაგებობების კაპიტალური მესერი;
  - სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსებული ღამის განათების ბოძები - სამი მეტრის სიმაღლემდე, მაგრამ ბოძზე დამონტაჟებულ კვანძებთან, სადენებთან და სხვა ელემენტებთან არაუმეტეს ერთი მეტრი სიხლოვისა.
- აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ახმეტის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების, ახმეტის მაგისტრატის სასამართლოს, სამხედრო შენაერთებისა და პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე.
- განკარგულება გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლი მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით, აგრეთვე გადაეგზავნოს ახმეტის №18 საოლქო საარჩევნო კომისიას.
- განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურ გამოცხადების დღემდე.
- განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, აღმაშენებლის ქ.№41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/  
შტამგდასმულია  
ელემტრონულად 

თამარ ყვინიშვილი